საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/44

---

05 სექტემბერი, 2012 წ. ქ. ბათუმი

„2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 09 აგვისტოს №01-08/33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 -11 პუნქტების, 29-32-ე მუხლების, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 09 აგვისტოს №01-08/33 ბრძანებაში. კერძოდ კი,

ა) ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდეს 10 სექტემბრის** ჩათვლით;

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.მისაღები გამოცდები ჩატარდეს რსუ-ს ბიბლიოთეკაში შემდეგ მისამართზე: ბათუმი, ნინოშვილის 35.

ა) მისაღები გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2012 წლის 13 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი, III ცვლა - 16^{00} საათი, IV ცვლა - 19^{00} სთ)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;

- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 14/17/18 სექტემბერს რსუ-ის კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 19 სექტემბერს.

გ) მისაღები გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2012 წლის 17 სექტემბერს (გამოცდის დაწყების დრო - I ცვლა - 10^{00} საათი; II ცვლა - 13^{00} საათი, III ცვლა - 16^{00} საათი, IV ცვლა - 19^{00} სთ)

- ✓ გამოცდის შედეგები გამოცხადდეს გამოცდის დღის ბოლოს;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2012 წლის 18/19/20 სექტემბერს რსუ-ს კანცელარიის მიერ;
- ✓ საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის გაცემა მოხდეს 2012 წლის 21 სექტემბერს.

გ) რანჟირების დოკუმენტი გამოქვეყნდეს 2012 წლის 24 სექტემბერს; “

ბ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. 2012 წლის 24 სექტემბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, რის საფუძველზეც გამოიცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.“

2. ბრძანება განთავსდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**